ფრიად პატივცემული საერთაშორისო მოსამართლის ჟან-პოლ კოსტას გარდაცვალების გამო

სახელოვანი ფრანგი იურისტის, ფრიად პატივცემული საერთაშორისო მოსამართლის, ჟან-პოლ კოსტას გარდაცვალებამ დიდი მწუხარება მოჰგვარა იურიდიულ სამყაროს. ძალიან მტკივნეულია ეს დანაკლისი საქართველოსთვის, რომელთანაც მას მრავალი წლის ნაყოფიერი თანამშრომლობა და მეგობრობა აკავშირებდა.

ჟან-პოლ კოსტა გახლდათ არაერთი რეგალიით აღჭურვილი მაღალი რანგის წარჩინებული პიროვნება, რომელიც მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა პროფესიულ, სამეცნიერო, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ასპარეზზე. სამწუხაროდ, ამიერიდან ის ვეღარ განაგრძობს ჩვენს შორის ფიზიკურ ყოფნას და საქმიანობას. სამაგიეროდ, მან სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ჩვენს მადლიერ ხსოვნაში და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მსოფლიოს სამართლებრივი აზროვნებისა და გამოცდილების ისტორიაში. საერთაშორისო მართლმსაჯულების სისტემისათვის ჟან-პოლ კოსტას გარდაცვალება მართლაც რომ დიდი დანაკარგია. იშვიათია სხვა შემთხვევა ან მაგალითი, როდესაც მოსამართლე ისეთი ოსტატობით ფლობდა და იყენებდა იურიდიულ და პოლიტიკურ კატეგორიებს, აგრეთვე არგუმენტაციის ტექნიკას, როგორადაც ეს ხელეწიფებოდა ჩვენი მწუხარების ადრესატს. ამას თვალნათლივ მოწმობს მის მიერ ხელმოწერილი გადაწყვეტილებანი და ე.წ. „განსხვავებული აზრები“ როგორც მშობლიური ქვეყნის ფარგლებში, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქციის სივრცეში. ამასვე ადასტურებს მისი მეცნიერული შემოქმედება და მოღვაწეობა.

ქართული იურიდიული საზოგადოებრიობის სახელით საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და ჟურნალ „იუსტიციის“ სარედაქციო კოლეგია ღრმად თანაუგრძნობს აწ განსვენებულის უსათნოეს ოჯახს – მეუღლეს, ქალბატონ ბრიჟიტს და შვილებს.

მთელი არსებით ვუერთდებით ასევე საფრანგეთის იურიდიული და პოლიტიკური წრეების დიდ გულისტკივილს.

დასასრულ, მკითხველს გასაცნობად ვთავაზობთ ჟან-პოლ კოსტას მიერ განვლილი ცხოვრების გზას, რათა უყურადღებოდ არ დაგვრჩეს მისი ესოდენ მდიდარი და მრავალმხრივი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ასპექტები.

ცნობად: ჟან-პოლ კოსტა გარდაიცვალა 2023 წლის 27 აპრილს, დაიკრძალა სტრასბურგში.

ღვთიური მადლი ნუ მოკლებოდეს ჟან-პოლ კოსტას ნათელ ხსოვნას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,
ჟურნალ „იუსტიციის“ სარედაქციო კოლეგია